სახალხო გაზეთი

№ 186 პარასკევი, 17 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი მეოთხე. 186

ანგარიშგების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., ფანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., ფანასკ—10 კაპ. საძვლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მიტლ და ამს—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოჩალოვა 11, ვარშავაში—ძარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი [illegible] მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და „ანტორაში [illegible] ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციები ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუშევარ 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეოთხე — **სახალხო გაზეთი** — წელიწადი მეოთხე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავ პროგრამით, რაც ორ წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ეძლევა კვირეული

სურათებიანი დანართი

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუშევდეს 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

ნინო ნიკოლოზის ასული შატბერაშვილისა, სამსონ წერეთელი შვილები თურთ და რაჟდენ ჯაფარიძე მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი დის, მეორე ძმისწულის და მესამე ბიძაშვილის

ნატალია ნიკოლოზის ასულის წერეთლის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 19 დეკემბერს, დილის 9 საათზე. წირვა და პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 საათ. დაკრძალვა კუკ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. ანდრეევის ქ. № 18. (5—289 4)

ეგენია დიმიტრის ასული და არჩილ რაჟდენის ძე ჯაჯანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნოთ

ნინ ნიკოლოზის ასულის ფერეთლის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 19 დეკემბერს, დილის 9 საათზე. წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ანდრეევის ქ. № 18. (2—1)

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

სთხოვს პროვინციის აგენტებს თავის დროზე გამოგზავნონ გაზეთების დასაკუთები ფული, უკანასკნელ შემთხვევაში გაზეთების გზავნა შეწყვეტილ იქმნება და აგენტურა სხვა პირს გადაეცემა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გელეგანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორ-ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ბ. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

ჭანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორ-შაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. ვ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფარადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ორდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სარაჯ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოთხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

ბონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერის შრატით. (100—5.—33)

ექიმი რ. დ. მაჯავარიანი — იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინსკის ქუჩა N 7. თ.—180—56

სახალხო თეატრი

სამშაბათს, 21 დეკემბერს,

იუბილე კ. მესხისა

საღამესასწაულო წარმოდგენა,

ოთხ განყოფილებად:

I

მილოცვა ამ ხანაგ მსახიობთაგან და დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი,

პირველი მოქ. კ. მესხის მიერ გადმოკეთებული.

II

ჭირვეული ცოლის მოგჯულება,

მე-4 მოქ. გ. შექსპირისა, თარ. კ. მესხისა.

III

სიკვდილი ნაპოლეონისა,

დრამატ. მტიუდი, 1 მოქ.

IV

საერთო მილოცვები და ადრესების მირთმევა.

მონაწილეობს მთელი დასი.

მ. კავსაძის დიდი ძართული ხოროო.

სრული ოპერის ოკესტრი.

წარმოდგენის დღემდე ბილეთები იყიდება ქართულ თეატრში

დასაწყისი 8 საათზე. დრამ. გამგეობის თავმჯდ. **ნ. ყართველიშვილი.**

ტელეფონი № 882. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 37.

კვირას, 19 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა:

მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, ი. გედევანიშვილისა.

ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანსაცმელები.

II

სირცხვილია

ვოდევილი 1 მოქმედებად, ვინ-განისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ბადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი ხალამოს 8 საათზე.

ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოება. (5—3) რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე შინაარეულ ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ბ. მაქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ბ. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ვ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ბობოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ალერ-ნიკოლოზოვი ფ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ავრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოროგებით. (წო. 5.—515)

სამკურნალო

სპეციალისტ სამწყდრო ექიმებისა გარედან მოსარეულე ავადმყოფთათვის. ანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბადის მაწლოვლად. ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახპანოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12—1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მოხსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 11½—3 საათ

ნოვაცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სარაჯ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოთხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

ბონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერის შრატით. (100—5.—33)

ექიმი ალ. კბილისა სოლოლაშვილი — იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პრეს. N 12, სახლი მდივნისა. (ფ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი — იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კირილოვის ქ., № 9. (ფ)

ექიმი ა ნ. დიასამიძე — კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ზუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., **ბაბინჯვა** და **გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. N 20. (0—5.—108)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე — იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი ძ. ძუთაისში თ. ტყეშელაშვილი — დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და გაანაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშვარდ და სასქესო აპეგულოგიათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილარეტოვის სახლი, (50—170—33)

ექიმი შ. ა. მიქელაძე — იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ვაშაკიძე — იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. კოტეტლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—289

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე — ძ. ქუთაისში — იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიყარაძისა. (თ.—188—38)

ბაქოში — ◀ ვეძიები ▶ — **მიხეილ ნასიძე** — სცხოვრობს სპასკის ქუჩაზე, სახლის № 49. (10—9)

რატომ უნდა ვიყიდოთ, მხოლოდ **თავართქილაძის** და **ჩარკვიანის** შედგენილი.

კედლის კალენდარი?

იმიტომ რომ იმაში არ არის არეული არც ერთი ეროვნების საკალენდრო ცნობები, როგორც ეს ზოგიერთებშია.

იმიტომ რომ დაკაზმული ფურცლები აღარ ჩამოცვივდება.

იმიტომ რომ ის კარგ ქაღალდზედ არის დაბეჭდილი.

იმიტომ რომ ის უარს არა ჰყოფს სწავლა-განათლებას, თეატრს და საზოგადოთ ცივილიზაცია-კულტურას.

იმიტომ რომ ის არ უქადაგებს საზოგადოებას, მხოლოდ კლერიკალიზმი ვავამეფოთო

იმიტომ რომ მხოლოდ ამ კალენდრის მყიდველს ეძლევა **ხაჩუქრად** საუკეთესო მწერლების საუკეთესო **წიგნები** ღირებულ 20 კაპ. ვინც კალენდარს ნაწერ ფასზედ იყიდის.

კალენდრები იყიდება ყველგან მხოლოდ, პრემიები ყველას **არ** წაუღიათ და თუ ვინმე ისურვებს ყველას გაუგზავნით ერთი შაურის დამატებით.

უმთავრესი საწყობი: თფილისი, სემენოვის ქუჩა № 4 კ. **თავართქილაძეს.** (0—295—1)

სახელოვნიფო სათათბიროს

ოდ. გოდეკონსკი თავმჯდომარეობს. წესიერ დასვენების პროექტის თაობაზე კამათობენ.

მე-11 მუხლი 1.-დემ. ფრაქციისა და ბარონ კრიუდენერ-სტრუვეს შესწორებით შემდეგის რედაქციით ღებულობენ: სავაჭრო დუქნებში, საწყობებში და კანტორებში მეცხრე მუხლში აღნუსხული განჭარტებანი ადგილობრივ პირობათა მიხედვით შეიძლება შემოიფარგლოს და აღნიშნულ უქმეთა გარდა სხვა სხვა დღეებიც იუქმონ.

მე-12 მუხლში ჩამოთვლილია ვაჭრობის ის დარგნი, რომელნიც კვირა-უქმის დასვენებას კანონს არ ექვემდებარება.

კოვალევსკი ბრუნდი, წინადადებას იძლევა მე-12 მუხ ოიდან დაწყებული ეს პროექტი განსახილველად კომისიას გარდაეცეს, რადგან დაუმუშავებელია და სათათბიროსთვის მისი განხილვა მოუხერხებელიაო.

მე-12 მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

მე-13 მუხლი განმარტავს, რომ მცირეწლოვან-მოსამსახურეთ უფლება აქვთ დღეში სამ-სამ საათს სკოლაში იარონ.

ამ მუხლს ბარონ ტიზენგაუზენის რედაქციით ღებულობენ: ორთავე სქესის მსახურნი, 15 წლამდე, დღეში ექვსი საათის მეტს არ უნდა მუშაობდნენ, (აქ ნაანგარიშევია მე-9 მუხლში განმარტებული დასვენებაც).

მე-13 მუხლი განმარტავს, რომ მოსამსახურე ქალნი მშობიარობის დროს ექვსის კვირით უნდა გაანთავისუფლონ მუშაობიდან, ჯამაგირის შენახვით.

100 ხმით 80 წინააღმდეგ ამ მუხლს ღებულობენ.

კუჩეროვის თავმჯდომარეობს.

წესიერ დასვენების კანონ-პროექტის განხილვა შემდეგის სხდომისთვის გადაიდო. სათათბირო ეკამათობა ზედ ილებს 11 კანონ-პროექტს.

ბაბინ შორის მიღებულია უფროს ნატარიუსთა მიერ სიგელის წიგნის წარმოების პროექტი.

კამათს იწვევს სამხედრო მინისტრის მიერ შემოტანილი კანონ-პროექტი, რომელიც მოითხოვს 1911 წლის 31 დეკემბრამდე სამხედრო უწყებისათვის 15 მილიონ ნახევარ მანეთის გადადებას, 1910 წ. 2 ივნისის კანონის თანახმად.

პეტროვსკი აცხადებს: სახელმწიფო კონტროლმა რეკიზიის დროს აღმოაჩინა, რომ 8 მილიონ ნახევარზე წამოყენებული დავა სავალდებულო გასასტუმრებელი არ იყო. ორატორი თხოულობს, ეს თანხა გამოაკლეთ სამხედრო მინისტრის მიერ ნათხოვნ სესხიდანაო.

ამ პროექტს ხარჯთაღრიცხვის კომისია რედაქციით ღებულობენ.

მორიგ საკითხად პეტერბურგის არხებისა და წყლის გაყვანის კანონ-პროექტია.

თავმჯდომარის ალაგს კაპუსტინი იჭერს.

ბელიშევის აზრით, რადგანაც პეტერბურგი ჰავის მხრივ მეტად უნაგეშო მდგომარეობაშია და სახელმწიფოს განაპირასაც მდებარეობს, საჭიროა სატახტო ქალაქი რუსეთის შუაგულში გადავიტანოთო.

გრაფი ბობრინსკი. ამ საკითხის ფინანსიური მხარე უფრო საგულისხმოა, პეტერბურგში მხოლოდ კერძო პირთა 600 მილიონად დაფასებული [illegible] სახადი შეწერილი, სახაზინო და მთავრობის საკუთრებაზე კი, რომელიც 800 მილიონადაა დაფასებული, გარდასახადს არ ვაწერთო. ქალაქის გამგეობას რომ ნება ჰქონდეს ამათაც შეაწეროს გარდასახადი, მაშინ ქალაქი წყალსაყვანის საქმეს თვითონაც ადვილად მოაწესრიგებდა, მთავრობის ჩაურევლად.

ბეჟოუსოვის აზრით, თუ არსებულ მდგომარეობიდან გამოსვლა ჰსურთ, მთავრობისა და თვითმმართველობის ულაჯობა უნდა თავიდან აიცილონ, რისთვისაც საქმეების საწარმოებლად დემოკრატია უნდა მოიწვიონ: მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნების უფლება გაჰკაფავს დღევანდელ გაჭირვეობიდან გამოსასვლელ გზასაო.

ამ საკითხზე კამათი შემდეგის სხდომისათვის გადასდეს.

გარეშე საქმეთა მინისტრისადმი მიმართულ 36 ოქტომბრისტთა შეკითხვას კითხულობენ, ავსტრიის პოლიციის მიერ ოსტროვსკის ოლქიდან რუსეთის ქვეშევრდომთა გამოდევნის თაობაზე.

ნაციონალისტები თხოულობენ, ამ საკითხის მოხსენება კომისიამ 1 თებერვლამდე წარუდგინოს სათათბიროს.

ბადაშოვის აზრით, ეს შეკითხვა უფრო სასწრაფოდ უნდა განიხილონ. 418 რუსეთის ქვეშევრდომთა გამოდევნის ამბავი პირველი არ არის.

პოდოლიიდან ამოარჩეულ ს ათათბიროს დეპუტატს შემდეგი სურათი უნახავს: პოდოლიის ეროვნის სამი მოხელე ველოსიპედებით ავსტრიის საზღვარზე მდებარე ქალაქში გადავიდნენ. ისინი შეიპყრეს და ავაზაკებივით ციხეში დაამწყვდიეს. მხოლოდ ვენაში მყოფ ელჩის ჩარევის შემდეგ, ძლივს გაანთავისუფლეს ისინი. საჭიროა მთავრობამ ამისთანა საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და გაარკვიოს, სასურველია თუ ერა რუსეთის სამფლობელოში ავსტრიის ქვეშევრდომთა და-

ტოვება. (ხმები: „მართალია, მართალი!“ ტაშის ცემა).

ბიჯეტაკეს უკვირს, რატომ ასეთსავე საკითხს გერმანიაში მცხოვრებ რუსეთის ქვეშევრდომებზედაც არ აღძრავენ.

კენჭის ყრით ნაციონალისტების წინადადებას ღებულობენ.

სადამის სხდომაზე გუჩკოვი ოქტობრისტებს. ბალტიის მხარეში საბხედრო და ქანდარმთა მმართველობის მიერ ჩადენილ უკანონოების თაობაზე მთავრობის განმარტებას ახილავენ.

ბრეიკანნის აზრით შეკითხვა სრულებით დასაბუთებულია, ხოლო საბხედრო მინისტრის განმარტება უფრო ნათელ ჰყოფს, რომ დამსჯელი რაზმები მართლაც უკანონოდ მოქმედებდნენ.

ბარონი ფეიკერზამი ამტკიცებს, რომ ბალტიის მხარეში ნამდვილი ლატიშელთა რევოლუცია იყო. ისინი ლატიშის სამეფოს აღდგენასა სცდილობდნენ, ხოლო მთავრობამ ჯარის შემწეობით ჩააქრო რევოლუციური მოძრაობაო, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. მაშინ დახვრეტილთა ოჯახები ვერც კი იტირეს, რადგანაც თითქმის არც ერთს მათგანს ცოლი არა ჰყოლია.

ბარონი შიდდინგი. აცხადებს ესტლანდიაში გლეხობა ეკონომიურს სიდუხჭირეს განიცდის. რევოლიუცია ადგილობრივ მკვიდრთა კი არ, დაიწყეს, არამედ გარედანაა შეტანილი, საერთო სარეველიუციო მოძრაობის მეთოდებითაო, რადგანაც ესტლანდიაში პირველი პროკლამაციებიც კი რუსულად იყო დაწერილი და არა-ესტონურადაო. ბელადებად და მეთაურებად ებრაელები იყვნენ. ორატორი აღნიშნავს, რომ ბალტიის მხარის თავად-აზნაურობა, რომელსაც რევოლუციის ჩაქრობის დროს მთავრობის დახმარებისათვის ჰკიცხავენ, ყოველთვის იმ გზით ივლის, საითაც მას სინდისი და პატიოსნება მოუწოდებს. დამსჯელი რაზმები პირნათლად და სინდისიერად ასრულებლდნენ თავის მძიმე მოვალეობას. რუსეთის ჯარს სოც. დემოკრატების გამოსარჩლება არ ესაჭიროებაო.

კუზნეცოვის აზრით, სოც. დემოკრატებს იმედი არა აქვთ, რომ ბალტიის მხარეში უკანონოდ მიმქმედნი ღირსეულად დაისაჯნენ. ჩვენ გვსურს მხოლოდ მთავრობა სალაპარაკოდ გამოვიწვიოთ. შეკითხვაში აღნუსხული საბუთები კი ჯერ არც ერთს ორატორს არ გაუბათილებიათ.

შემდეგი სხდომა 17 დეკემბერს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი აფიცერთა და სამხედრო ტოპოგრაფთა დამატებით ჯამაგირებისათვის ზედ-მეტ თანხის გადადებისა. საბჭომ სასურველად იცნო ამ პროექტში რკინის გზებზე მოსამსახურე აფიცერთა ჯამაგირების მომატების საჭიროებაც იყოს მოხსენებული. ის კანონ-პროექტი, რომელიც საგლეხო ბანკს მამულების სყიდვა-გაყიდვის უფლებას უტოვებს, 15 კაცისაგან შემდგარ კომისიას გარდაეცა და არა ფინანსიურ კომისიას, როგორც ფინანსთა მინისტრს ჰსურდა.

სასულიერო წოდებიდან გადამდგარ პირთა შესახებ კანონ-პროექტის თაობაზე **სობლერმა** განაცხადა: გადადგომის თავისუფლება რომ დავაკანონოთ, სასულიერო უწყებაში დიდს არეულობას შევიტანთ. ქრისტიანობის ისტორია გვიჩვენებს, რომ სასულიერო წოდებიდან თავისის ნებით გადადგომილთ მთავრობა ყველა უფლებებს არ უტოვებდა.

დონეცკის აზრით თავის სურვილისამებრ სასულიერო წოდებიდან გადამდგარ პირთა თავისუფლების შეზღუდვა დიდი უსამართლობაა, იგი განსაკუთრებულ პირობებითაა გამოწვეული.

ნიკონი უმრავლესობის აზრს ემხრობა. სრული თავისუფლება რომ დავაკანონოთ სასულიერო პირთა გადადგომისა, მაშინ არა საიმედო ხალხი ჩაერევა სასულიერო წოდებაა და [illegible] ყვნილებას შეიტანენო ხალხში.

თ. დ ობოდენსკის აზრით, ამ საკითხის გარჩევის დროს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ეკლესიას ავნებს თუ არგებს კანონ-პროექტის დაკანონება. სამღვდელო პირთა ნებაყოფლობით გადადგომის უფლება უნდა შევზღუდოთ, თორემ ბევრი დაუფიქრებლად წავა მღვდლადაო.

კონი აცხადებს: კანონ-პროექტი დალაგებით ვერაა შედგენილი და მტკიცე საძირკველზე არ ემყარებაო.

დეკანოზი ბუტკევიჩი თხოულობს ნებაყოფლობითი გადადგომის უფლების შეზღუდვას და აცხადებს; პროექტში მოხსენებული შეზღუდვანი მეტის მეტად მცირეაო.

ტაგანცევი უმცირესობის აზრს ემხრობა. 1833 წელს სახელმწიფო საბჭომ ამ საკითხზე თათბირი იქონია და ის აზრი გამოსთქვა, რომ სასულიერო წოდებიდან გადამდგარ პირთ, ყველა სასახურში შესვლის უფლება უნდა ჰქონდეთო.

შემდეგი სხდომა 17 დეკემბერს მოხდება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი.

საზღვარ-გარედ.

ბერლინი. ტოლსტოის თხზულებათა მთარგმნელი, თეატრის დირექტორი, ლევენფელდი გარდაიცვალა.

ლონდონიდან იუწყებიან: ხოუნდოდჩში საოქრომჭედლო ქალაზიის ძარცვის დროს მოკლული პოლონელი რუსი აღმოჩნდა გვარად—მორუნცევი. ის პეტერბურგიდან ჩამოსულა და ლონდონში 9 თვე უცხოვრია. იმის ბინაზე ყუმბარების საწყობი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ანარქისტული ლიტერატურა იპოვნეს. „ლოკალანციეგერის“ სიტყვით იქავე უპოვნიათ რუსული წერილები, საიდანაც სჩანს, რომ დიდ შეთქმულებას ამზადებდნენ.

ბუდაპეშტი. ავსტრო-უნგრეთის საერთო დელეგაციის კრება გაიხსნა. ავსტრიის დელეგაციამ თავმჯდომარედ ბერე აირჩია, უნგრეთისამ—გრაფი ავგუსტ ზიჩი. ერენტალმა სამი თვის დროებითი ხარჯთ-აღ[illegible] [illegible]

თავრიზი. თავრიზის სავაჭრო პალატა სულსა ჰლევს. ავსტრო-აღმოსავლეთის სავაჭრო ამხანაგობათ კავშირმა თავრიზი დასტოვა.

დათხოვნილი პოლიციელნი და მუნიციპალიტეტის მსახური ფიდაები და მოლები გუბერნატორის გადაყენებას ცდილობენ.

რუსეთი

პეტერბურგი. ნოვოროსიის უნივერსიტეტში მომხდარ უწესოების გამო კადეტებმა სათათბიროში შეკითხვა შეიტანეს, რომლის სარეზოლუციო ნაწილი ასეთის შინაარსისაა: „იციან თუ სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა, 1) რომ სტუდენტ-აკადემისტები ჩარტიჟრიუსკი, შკაპოვსკი და სხვანი, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ აგრესიულ ხასიათის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან (რუსის, ხალხის კავშირთან და სხვა) მივიღნენ ფიზიკა მატემატიკის აუდიტორიაში ჯერ ჭერსა და კედელს დაუშინეს რევოლვერების ტყვიები და შემდეგ უიარაღო სტუდენტებს, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასი იყო და დასჭრეს, სხვათა შორის, სტუდენტი იგლიცკი; ამ სტუდენტთა წინააღმდეგ ზომები არ მიიღეს, პირიქით იგივე სტუდენტები გრადონაჩალნიკისა და უნივერსიტეტის მთავრობის თანადასწრებით მასხარად იგდებდნენ შეპყრობილ სტუდენტებს, რომელნიც ჯარის საშუალებიდ ეზოში გაიყვანეს, 2) რომ ადმინისტრაციამა და უნივერსიტეტის მთავრობამ საქმის ნამდვილი ვითარების ფარდა გადააფარეს, ხოლო გრადონალნიკმა ხელი შეუშალა საქმის გამოკვლევას. თუ ეს ფაქტები მინისტრებმა იციან, მაშინ რა ზომები იქმნა მიღებული დამნაშავეთა მისაცემად სამართალში. გთხოვთ, შეკითხვა საჩქაროდ განიხილოთ“.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა სათათბიროში ახალი კანონ-პროექტი შეიტანა, რომლითაც თხოულობს გარდასახადთა ინსპექტორთა არსებულ რიცხვის 100 კაცამდე მიტანას, კასპის მხარეში განსაწესებლად.

ვარშავა. ესპერანტოს გამოფენა გაიხსნა, ესპერანტოს [illegible] ზამენგოფის მონაწილეობით

პეტრეპავლოვსკი. რუსეთში პირველმა რადიოტელეგრაფიულმა სადგურმა ჩინებული უნარი გამოიჩინა. ერთს თვეში 35,000 სიტყვა გადასცა. რადიოტელეგრაფი მავთულის ტელეგრაფს არ ჩამოურჩება. მუშაობა მთელ დღე-ღამის განმავლობაში შეუწყვეტლად შეიძლება.

პერმი. საერობო კრებამ 120.000 მან. გადასდო შინა მრეწველობის საჭიროებისთვის.

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს დიდს უსტიუგში (ვოლოგდის გუბერნიაში) ოლქის სასამართლო დააწესოს მოსკოვის სასამართლო პალატის ოლქის ხარჯით.

უმაღლესად ნება დართულ იქმნა, ლოვიჩ კუტნო-კოლა- კონინ- სლუპეცი-სტრუალკოვის რკინის გზა გამოიკვლიონ.

მოსკოვი. პეტროვსკ-რაზუმოვსკის აკადემიაში იპოვეს საკუთარ ძალისგან დაკბენილი საიმპერატორო ბალეტის მსახიობად ნამყოფი ლერმანი, 52 წლისა.

ახალი ამბები

ტფილისი

სამღვდელოების კრება. როგორც ვწერდით, 15 დეკემბერს სამღვდელოების კრება მორიგ საკითხთა განხილვას შეუდგა. დაესწრო 46 დეპუტატი. პირველად კრების თავმჯდომარის დეკანოზის. რცხილაძის წინადადებით დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს სრულიად სომეხთა ქათალიკოსის ხსოვნას. შემდეგ წაკითხულ იქმნა სამღვდელოების საურთიერთო დამხმარე ძმობის წესდების პროექტი, შედგენილი სიონის ტაძრის წინამძღოლის დეკანოზ ალ. სვიმონიოვისგან. ძმობის მიზანია—მისცეს ერთ-დროებითი დახმარება გარდაცვალებულ სასულიერო პირის ოჯახობას ნივთიერად უზრუნველსაყოფად და გარდაცვალებულის დასამარხად. ძმობის წევრი თუ გარდაიცვალა, წევრნი მოვალენი არიან, ხუთ-ხუთი შაური შეიტანონ ძმობის კასაში. წევრთა რიცხვი 1,256-ია. [illegible] ამ დღეს კრებამ პროექტის ორი მუხლი დამტკიცა,

გორის მაზრის უფროსად ნამყოფ დ. ბაქრაძის საქმე. ტფ. სასამართლო პალატამ უკვე დაასრულა გორის მაზრის უფროსად ნამყოფ დავიდ ბაქრაძეს საქმე [illegible] რალმდებლო ოქმი წარუდგინა. 15 დეკემბერს სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც დ. ბაქრაძე ყველა ბრალდებაში უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

ნება დართული პიესა. კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო წარმოადგინონ კავკასიის სცენებზე გრ. ამაღლობელის 4 მოქმედებიანი დრამა „ტრაგედია სიყვარულისა“.

სასულიერო უწყებაში. ხმები დადის, ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი სტავროპოლში გადაჰყავთ, ხოლო მის ადგილას ეფ. სასულიერო სემენარიის რექტორს არქიმანდრიტს პიმენს ნიშნავენო.

წვრილის კრედიტის მოღვაწეთა გამო. ნამეს ენიკმა ნება დართო მომავალ წელს ტფილისში მოიწვიონ წვრილის კრედიტის მოღვაწეთა კრება.

მღვდლები სამართალში. ეჩმიაძინის სინოდის განკარგულებით სამართალში აძლევენ ვანქის ტაძრის ოთხს მღვდელს: დეკანოზ ერზნიკიანცს, გიუტ აგანიანცს, გალუსტ აბულიანცს და გრიგოლ ხოჯატიანცს ეკლესიის ფულის (5.000 მან.) მითვისებისათვის.

ფილოქსერა კახეთში. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე დადგინა: გადასჭრას დაუყოვნებლივ სოფ. კარტუბანში ფილოქსერით დაავადებული ვაზები. დადგენილება ტფ. გუბერნატორს გაუგზავნა.

წყალსადენი მიწამეთში. იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ თხოვნით მიმართა ტფ. ქალაქის წყალ-სადენის გამგეს, ინჟენერ გ. ხ. ქურდიანს, შესაფერი დახმარება აღმოგვიჩინეთ მოწამეთის მონასტერში წყალ-სადენის გაყვანის საქმეშიო.

მინდვრის თაგვი. აღგეთის საზოგადოების (ტფ. მაზრა) 19 სოფელში საშინლად ჯამრავლებულა მინდვრის თაგვი.

უმაღლესი კურსები კავკასიის შესასწავლად. ხვალ, 18 დეკემბერს, ბიუროს დარბაზში ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას ძველ-ბერძენ ფილოსოფოსთა სკოლა. [illegible]

ერთის დღით იასნაია პოლიანაში

ლევ ტოლსტოის სიკვდილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელ კულტურულ კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. 18 უმაღლესმა სასწავლებელმა პეტერბურგიდან გაგზავნა თავიანთი დელეგატები 40 კაცამდე ტოლსტოის დაკრძალვაზე დასასწრებლად. ჩვენ მიერ ნახულ-გაგონილი მსჯრს გავუზიარო ქართველ საზოგადოებას.

ჩვენ მივედით სადგურ ზასეკაში 9 ნოემბერს, საღამოს 11 საათზე. სადგური ხალხით სავსე იყო. ვაგონში გავათენეთ და მეორე დღეს, დილით, ადრიანად გავემგზავრეთ იასნაია პოლიანაში, რომელიც აქედან ოთხი ვერსის მანძილზე მდებარეობს. გზა მშვენიერია. ატეხილი ტყე, საუცხოო ბუნება დღეს თითქოს სადღესასწაულოდ მორთულიყო.

მივედით იასნაია პოლიანაში. მინგრეულ-მონგრეული ქოხმახები; მიფლეთილ-მოფლეთილი ტანსაცმელი ძველ-ტყავა გლეხებზედ მნახველს შესამჩნევლად ატყობინებს მისს სიღარიბეს. სოფელი პატარაა, სულ 90-მდე კომლია შიგ. არის სამკითხველო და სამკურნალო გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. მისვლის უმალვე გავეშურენით ტოლსტოის საფლავისაკენ. ჯალაში, თვით ტოლსტოის სახლის ახლო გამოჩნდა პატარა სერი, რომელიც შემოქარგულია დიდრონის ცაცხვებით. ესაა ის ადგილი, სადაც, ამ 75 წლის წინად, პატარა ძმებმა ლევმა და ნიკოლოზ ტოლსტოვებმა პატარა მწვანე ჯოხი ჩაჰფლეს, რომელზედაც დაწერეს თავისი აღთქმა, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ. დღეს ეს პატარა მაღლობი ბევრის სათაყვანებლად გამხდარა; აქ ასაფლავია ლევ ტოლსტოი. მთელი მთაა გვირგვინებისა. ცაცხვებზედ თეთრი შემოხვეული ტილოა, რომელზედაც აწერია: „ლევ ნიკოლოზის ძევ, შენი კეთილი ხსოვნა არასოდეს არ გაჭრება იასნაია პოლიანას დაობლებულ გლეხების გულში“.

დელეგატების თხოვნით, სამოქალაქო პანაშვიდზე მოვიდნენ სოფიო ანდრიას ასული ორის შვილით, ექიმი მაკოვიცკი და სხ. „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“ და სხ. გალობა რომ დაიწყეს, სოფიო ანდრიას ასული უკანვე წავიდა, თურმე იგი ამ საგალობელს ვერ ისმენს.

ექიმი მაკოვიცკი შვიდი წელიწადია, რაც მოსულა გარიიდან და ტოლსტოისთან დასახლებულა. იგი დიდი მიმდევარი და პატივისმცემელია ტოლსტოის მოძღვრებისა, ამასთანავე მეტად ჩუმი და წყნარი. რუსულად თავისუფლად ვერა ლაპარაკობს. ამ შვიდი წლის განმავლობაში ტოლსტოის არ გამოუთქვამს არც ერთი სიტყვა, რომ მაკოვიცკის არ ჩაეწეროს, მაკოვიცკი თურმე ყველასა სთხოვდა ხოლმე, ცოტა ელაპარაკნათ, რომ ამითი ტოლსტოისთვის მეტი შემთხვევა მიეცათ ლაპარაკისა. მაკოვიცკის ეხლა მთელი გროვა აქვს რვეულებისა.

როგორც ჩერტკოვმა გადმოგვცა, მაკოვიცკის აზრად აქვს ეს წერილები ბულგარიაში გამოსცეს.

ლევ ტოლსტოის სახლიდან წასვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩვენც გვინდოდა გაგვეგონა სინამდვილე. ამისთვის მის საუკეთესო მეგობარს ვ. გ. ჩერტკოვს მივმართეთ, იგი იასნაია პოლიანადგან სამი ვერსის მანძილზე სოფელ ტელიატინკაში სცხოვრობს, გზა ტყიანია. ეს გზა თურმე ძალიან უყვარდა ლ. ტოლსტოის, ხშირად შეხვდებოდნენ აქ ცხენით მიმავალს.

ნახევარ საათის შემდეგ მივუახლოვდით ორ-სართულიან ფიცრულ სახლს. გამოგვეგება წარმოსადეგი, ჭაღარა შერთული, მეტყველის თვალებით და მაღალის შუბლით თვითონ ვ. გ. ჩერტკოვი.

— მოხარული ვარ, რომ ჩემს სახლში ახალგაზდობის წარმომადგენელთ ვხედავ—მოგვმართა ჩერტკოვმა და სახლში შეგვიპატიჟა; მეტად უბრალო მოწყობილობა აქვს. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ეს არის ეხლავე აიყრება და წავა სადმეო. ჩერტკოვი საათზედ მეტს გვესაუბრა:

— ეხლა შეიძლება გიამბოთ ის, რაზედაც ნ. ტოლსტოის, სიცოცხლის დროს შეუძლებელი იყო, როგორც ლაპარაკი, ისე—წერაც, ლ. ტოლსტოის ოჯახში უკანასკნელ წლებში ისეთი უთანხმოება სუფევდა, რომლის ატანა აღარ შეეძლო მას. ეს უთანხმოება იქამდის აწუხებდა რომ რამდენჯერმე, როგორც პირადად ჩერტკოვისთვის, ისე გაზეთებში, გამოაცხადა თავისი სურვილი, რომ ციხეში მჯდარიყო. ამასვე ჰმოწმობს მისი უკანასკნელი წერილი „გლეხისადმი“. მეორეს მხრივ, უკანასკნელ ხანში ნ. ტოლსტოის წერილებიც მოსდიოდა ამავე შინაარსის; სწერდნენ, რომ იგი განცხრომით სცხოვრობს, რაიც მისი ქადაგების წინააღმდეგია და სხვა.

ვ. ჩერტკოვის სიტყვით ლ. ტოლსტოის პირველად იმედი ჰქონდა, რომ თვისი უსაზღვრო სიყვარულით თავის ოჯახის იდეიურ მოწინააღმდეგეებსაც დაიტბობდა და მათაც ჩაუნერგავდა თვის მოძღვრებას. ლ. ტოლსტოის კარგა ხანია უნდოდა თავისი აზრის სისრულეში მოყვანა, მაგრამ იგი ორჭოფობდა, ყოყმანობდა. მისი წარმოდგენით მის სახლიდან წასვლა ეგოისტური საქციელი იქნებოდა და უკანასკნელ დღეებში კი დარწმუნდა, რომ მისი მოლოდინი სრულიად უნაყოფოა, რომ მას აღარ შეუძლია აიტანოს ყველა ის მიწიური, რაც მის ოჯახშიაც ხდებოდა, და სახლიდან წასვლაც გადასწყვიტა კიდეც.

ლ. ტოლსტოის ჰსურდა ან ჩრდილო-კავკასიაში დაბინავებულიყო, ფელენჯიკის მახლობლად ან ბულგარიაში—მაკოვიცკისთან. იქ მოაწყობდა თავის ცხოვრებას, როგორც ენატრებოდა, სრულიად მშვიდად, წყნარად და შეუმჩნევლად.

ტოლსტოის ავადმყოფობას ყოველთვის წინ უძღოდა ხოლმე რაიმე სულიერი მღელვარება, რაიმე მსოფლიო უსიამოვნება. ტოლსტოის ავადმყოფობა ყირიმში უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეხლაო, მაგრამ ეხლა იმიტომ ველარ აიტანა მისმა სხეულმა, რომ ამ ავადმყოფობის წინ მეტად ბევრი ღელვა და სულიერი აღშფოთება განიცადა. ყველაზე მეტად ლ. ტოლსტოის ის აწუხებდა, რომ ვ. ჩერტკოვს, ამ საუკეთესო და თავდადებულ მეგობარს უკანასკნელ ოთხის თვის განმავლობაში, სრულიად აკრძალული ჰქონდა მათ ოჯახში მისვლა, ეს კი უნდა მოეთმინა, რადგანაც არა ჰსურდა ოჯახში რაიმე უსიამოვნება აეტეხნა.

ამ სულიერ აღშფოთებას ეხლა ისიც დაერთო, რომ მაკოვიცკისთან ერთად ტოლსტოი მესამე კლასის ვაგონით გაემგზავრა. ვაგონში ძალიან ბევრი ხალხი იყო, ახლიად ჯარში გაწვეულნი, რომელთანაც ტოლსტოის ყოფნა და მუსაიფი უნდოდა. მან კიდეც აღნიშნა თავის დღიურში პირველი თავისი აღფრთოვანება ამ მოგზაურობისა, მხოლოდ სიცხემ და თამბაქოს ბოლმა რომ შეაწუხა, იგი გამოვიდა ვაგონის ბაქანზე, სადაც მთელი ორი საათის განმავლობაში წვიმის ქვეშ იდგა. ეს იყო მიზეზი მისი უკანასკნელი გაციებისა. მალე ცუდად გახდა და მახლობელ დიდ სადგურზედ ხელით გამოიყვანეს. ეს სადგური იყო ეხლა ყველგან ცნობილი ასტაპოვო. აქ სადგურის უმფროსმა, ი. ი. ოზოლინმა დაუთმო თავისი სახლი და ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ კარგი მასპინძლობა გაეწია.

როდესაც ავადმყოფი ტოლსტოი პირველად ინახულა ჩერტკოვმა, სადგურ ასტაპოვოზედ, ტოლსტოის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მან ჩერტკოვი გულში ჩაიკრა და ხუთი წუთის განმავლობაში ჰკოცნიდა, შემდეგ აცრემლდა კიდეც.

ზოგიერთ გაზეთების ცნობა, ვითომც ტოლსტოის სიკვდილის წინ მართლმადიდებელ ეკკლესიასთან შერიგება უნდოდა—სთქვა ჩერტკოვმა — სინამდვილეს მოკლებულია. ტოლსტოი იმადვე დარჩა, რაც იყო. ტოლსტოი მონასტერში მხოლოდ იმიტომ წავიდა, რომ თავისი ლის ნახვა უნდოდა, მარიამ ნიკოლოზის ასული, რომელიც მას ძალიან უყვარდა.

თუმცა ტექსტი მიტროპოლიტ ანტონის დეპეშისაარ აჩვენებს ტოლსტოის, მაგრამ როდესაც ჩერტკოვმა გადაკვრით ჩამოუგდო ამაზე ლაპარაკი, ტოლსტოიმ გადაჭრით უპასუხა: „ორჯელ ორი ოთხია, როგორც ჯანსაღისთვის, ისე მომაკვდავისთვის“-ო. რამდენიმე დღის წინად გაიმეორა ტოლსტოიმ თავისი სურვილი დაემარხნათ იგი არა ეკლესიურის წესით. ყველას უკვირდა, რომ ასეთი სისწრაფით დამარხეს ტოლსტოი. ჩერტკოვმა ამაზედაც გვიპასუხა. ზოგიერთი წევრი ტოლსტოის ოჯახისა ძალიან სცდილობდა როგორმე მიეღოთ სინოდისგან ნებართვა და ეკკლესიურის წესით დემარხათ, მაგრამ ამას წინააღუდგნენ ჩერტკოვი და უმცროსი ქალი ტოლსტოისა, — ალექსანდრა ლევის ასული, ეს ერთადერთი იდეიური მიმდევარი და აღმსრულებელი მამის ყოველის სურვილისა.

სიკვდილის წინ ტოლსტოი ყველას ეალერსებოდა, ყველას გამოჰკითხავდა. მისს ამბავს. თითქმის უკანასკნელ დღეში იყო, როდესაც ს. ასტაპოვზედ ტოლსტოის სანახავად მივიდა მისი მეგობარი და ნაწერების გამომცემელი გორბუნოვ-პოსადოვი. ტოლსტოი სულ იმას ეკითხებოდა, თუ ცენზურამ რა შეამოკლა და როდის გამოვა მისი ახალი ნაწერები. ეს ის გორბუნოვ-პოსადოვია, რომელიც კარგა ხანია ითვლება „პოსრედნიკი“-ს გამომცემლად და რომელსაც მიზნად აქვს ხალხში იაფ-ფასიანი წიგნების გავრცელება. ტოლსტოი იმის უკმაყოფილოც იყო, რომ სადგურ ასტაპოვზედ მას ამოდენა ექიმები და მეგობრები ეხვია. უკანასკნელი მისი ფრაზა იყო: „ქვეყანაზე აუარებელი ხალხია, გარდა ლევ ტოლსტოისა, თქვენ კი მარტო ერთ ლევს ეხვევით“-ო.

ხანდისხან ძილში ტოლსტოი მარჯვენა ხელს ამოძრავებდა, ვითომც

ლის ქართულის მწერლობის ისტორიიდან.

◆ 15 დეკემბერს „ოფიციალ ტიდანში შეიბეჭდა 28 უმასპარტა.

◆ 14 დეკემბერს ოქოკების ქუჩაზე იბოდეს ჩვრებში შესვეული ბავშვი მდედრობითი სქესისა. დახლოებით 4 დღისა. ბავშვი ოდესაც საბერი ინსტიტუტში გაგზავნეს.

ᲝᲠᲘᲝᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲖᲔ

ჩვენი მოზარდ თაობის შესახებ არა ერთი წერილი დაბეჭდილა ჩვენს გაზეთში; დღეს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარნი სასოწარკვეთილნი შესცქერიან ჩვენს მოზარდ თაობას და არც გასაკვირველია, რადგან საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი თან და თან ცარიელდება, ხოლო ახალგაზდობაში კი ნაკლებად ჩნდებიან ისეთები, რომელნიც მომზადებულნი იყვნენ ქვეყნის სამსახურისთვის: უცხო კულტურისა და ტრადიციებზე აღზრდა, დაშორება ეროვნულ კულტურასთან, სრული უცოდინრობა ენისა და სამშობლოს წარსულისა ჰქმნის იმას, რომ ჩვენი ახალგაზდობა გადაგვარების გზას დასდგომია და დაუკარგავს შემაერთებელი ძაფი თავის ხალხთან. ამას ზედ დაურთეთ ის უწესოებანი ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობისა, რომელთ მოწამენიც ჩვენ გავხდით და ნათლად წარმოგიდგებათ ის საშინელი მერმისი, რომელიც ჩვენს სამშობლოს მოელის.—დიდი ხანი არ არის, რაც საშუალო სასწავლებლის კედლებს გავშორდი და რუსეთისკენ გავემგზავრე. მოზიარე ვიყავ იმ ცხოვრებისა, რომელსაც ატარებდნენ მოწაფენი განმათავისუფლებელ მოძრაობამ დის და მისს შემდეგაც. და ამ მხრივ მინდა გამოვსთქვა ჩემი შთაბეჭდილებანი. დღეს თითქმის იმას არავინ უარს არ ჰყოფს, რომ სწავლა-განათლება ალბ ნიადაგზეა დაყენებული და მეც ამის შესახებ არას ვიტყვი. მე მინდა მხოლოდ მკითხველის ყურადღება შევაჩერო იმ ცვლილებაზე, რომელიც მოწაფეთა ცხოვრებაში მოხდა განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ. ყველასათვის ცხადია, რომ მოწაფის გონებრივ განვითარებას, მისს სულის შეკითხვებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ისინი, ვისაც მისი აღზრდა თავს ედვათ. სამაგიეროდ დაკიცხვა ეროვნულ გრძნობისა, შელახვა მოწაფის პიროვნებისა და ყოველმხრივი შევიწროება სამშობლო ენისა. აი, რას ვხედავთ განმათავისუფლებელ მოძრაობის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, დასაწყისში. მოძრაობის დროს აღმზრდელნი თითქოს დაუახლოვდნენ კიდეც მოწაფეთ, თითქოს დაინტერესდნენ მათი სულიერის ცხოვრებით, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი იყო. აქვე არ შემიძლია არ მოვიხსენო ის გარემოება, რომ ჩვენში მრავალად გაჩნდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც უარს ჰყოფდნენ სამშობლო ენის შესწავლის საჭიროებას მათ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მოწაფეებში მძლავრად გავრცელდა გულ-გრილობა სამშობლო ენისადმი, რის შემდეგაც ქართული ენის გაკვეთილები სრულიად შემცირებული. და მეექვსე გაკვეთილზე იქმნენ გადატანილნი. ჩვენდა სამარცხვინოდ, გაჩნდენ ისეთი მშობლებიც, რომელთაც თხოვნები შეჰქონდათ სასწავლებლის მთავრობასთან, რომ მათი შვილები გაეთავისუფლებინათ ქართული ენის სწავლისაგან. „ვაი ჩვენს სირცხვილსო“, გშირად გვეტყოდა ღრმად პატიოსანი მოხუცი დ. ჩ., ქართული ენის მასწავლებელი. სასწავლებელში იმდენად განვითარდა გადაგვარების სული, რომ რაგინდ კარგად დაგეწყვრათ თხზულება, თუ ბოლოს „здѣсь русскій духъ, здѣсь русью пахнетъ“ არ დაურთავდით, ცუდ ნიშანს მიიღებდით.

მახსოვს, სასწავლებელში აკაკის იუბილეს დროს რეფერატი წავიკითხე და სხვათა შორის აკაკი პუშკინსა და სხვა რუსეთის მგოსნებს შევადარე, რაზედაც რუსული ენის მასწავლებელმა სიცილი დამაყარა. თუ უწინ გამეფებული იყო მოწაფის პიროვნების შელახვა, დღეს მისი ადგილი პიროვნების სრულიად მოსპობის სურვილმა დაიკავა.

აი, ასეთ პირობებში იზრდება ჩვენი ახალგაზდობა; ყოველივე მშობლიურს მოკლებული, იგი ვერც სხვისას ითვისებს და საშინელი უთანხმოება ბუდობს მისს სულში. როდესაც მთელი საქართველო გლოვის ძაძებში იყო გახვეული დიდებულ ილიას სიკვდილის გამო, ჩვენს მოსწავლე ახალგაზდობაში (მე აქ მხედველობაში არა მყავს ქართ. ს.-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეები) ძალიან ცოტა იყვნენ ისეთები, რომელთაც იცოდენ, თუ ვინ იყო ილია. ამ მხრივ სწორედ ნაღველის ამშლელ სურათს წარმოადგენენ ჩვენი მოსწავლე ქალები. ერთ დედათა გიმნაზიაში „გლახის ნაამბობის“ გმირის დახასიათება მიეცა მასწავლებელს დასაწერად. ნოსწავლე ქალებს რუსულად დაეწერათ და შემდეგ სხვა და სხვა პირთ ეხვეწებოდნენ, ქართულად გადაგვითარგმნეთო. მოსწავლე ქალთა უმეტეს ნაწილს ქართულად აზრის გამოთქმა არ ეხერხებათ. ამ სამწუხარო მოვლენაში, ბრალი მიუძღვის, როგორც შვილს, ისე ოჯახს, და თვით მოსწავლე ახალგაზდობასაც.

ჩვენის რწმენით, მემცდარია ლოკკი, როდესაც ამბობს ვითომც სული ახლად დაბადებულ ადამიანისა წმინდა დფას (tabula rasa) ემზგავსებოდეს არაფერი არა სწერია და განსხვავება ნიჭიერებათა (душевными способностями) შორის დამოკიდებული იყვეს მხოლოდ აღზრდისა გარემოს გავლენაზე. დღეს მიღებულია თეორია ფსიხიურ ნიჭიერებათა (психическихъ способностей) მემკვიდრეობისა, რომლითაც ადამიანზე მემკვიდრეობით გადადის მიდრეკილება ამა თუ იმ ნიჭიერებისადმი. და სწორედ ამ მხრივ აქვს დიდი მნიშვნელობა აღზრდას, რადგან ვარჯიშობა ანვითარებს ამა თუ იმ ნიჭიერებას, ხოლო თუ ადამიანი თვისს ნიჭს არ ამუშავებს, იგი სუსტდება და ვერა მხიდდება.

როდესაც ჩვენი სიტყვა-კაზმულ მწერლობის დაქვეითებას ეხებიან, საჭიროა ეს გარემოებაც მიიღონ მხედველობაში, რადგან ჩვენი მოსწავლე ახალგაზდებში ბევრია სამწერლო ნიჭით დაჯილდოვებული, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზთა გამო მათ ნიჭს თავი ვერ უჩენია, ამ მიზეზთა შორის კი უმთავრესი ის გარემოებაა, რომ ჩვენი ახალგაზდობა მოკლებულია მშობლიურ ნიადაგზე მსჯელობას, რომ მოზარდ თაობის ცხოვრებას აღარ აცხოვლებს ეროვნული სული.

ვისაც სამშობლო უყვარს, ვისაც თავისი ერი სწამს უნდა მიაქციოს ყურადღება მოზარდ თაობის ასეთ მდგომარეობას და ღრმად ჩაუკვირდეს მისს სულის კვეთებას.

ალ. ᲕᲐ—ლი.

ᲘᲡᲜᲘᲡ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ

დღეს ერთ ჩვენს გაჭირვება-დაბრიყვებაზე უნდა მოგახსენოთ. ავლაბარში არსებობს მართლ მადიდებლებისათვის პეტრე-პავლეს სასაფლაო. იგი ქალაქის მოცემულია, რასაკვირველია, და ძაან დიდი ხანი არ არის, რაც იქ ერთი რუსიც კი არ იყო დამარხული, ქართველების სასაფლაოდ ითვლებოდა. მახსოვს 15 წლის წინედ. ვიღაც დიდებულმა რუსმა სთხოვა სასაფლაოს ეკლესიის მღვდელს—„რუსულად მიხადე პარაკლისი“. მღვდელმა ბოდიშით მოახსენა: რუსული წიგნი არა გვაქვს და ქართულად გადაგიხდითო. იგიც დასთანხმდა და ქართულად გადაუხადეს პარაკლისი.

დღეს ამ ეკლესიაში ქართული, არც წირვა, არც ვალობა და აღარც წიგნებია, გარდა სლავიანურისა. სასაფლაოსაც დაპატრონებია კომიტეტი, რომელშიაც არც ერთი ქართველი არ ურევია და იგინი ჩვენს კუთვნილებაზე თვით ბრძანებლობენ. შარშან პატარა ბაღანა რომ მოგვკდომოდა 1 მან. ვიხდიდით საფლავისას და ვმარხავდით, წელს 3 მან. გაჰხადეს. დიდზე 3 მანეთს ვაძლევდით, წელს 6 მან. გაუხდიათ—ეს სულ ნაკლებ ადგილზე. ცოტა საუკეთესოზე 10 მან. 50 მან. ადიან. ბოლოს საშინელ ტვირთად გვაწვება ერთი ციდა ყმაწვილის დამარხვაც კი: 3 მან. სასაფლაოში მიეცი, 3 მან. კუბო თავის წასაფარით, სანთელი, ეტლით მიტანა საფლავამდე 2 მან. და ახლა მღვდელს 3 მან.—უკანასკნელი 10 მან. ჯდება, და 10 მან. ლატაკ ავლაბრელისთვის მთელი სარჩო! დიდის დამარხვა, ხომ ცეცხლი გახდა! იმიტომ ამ საქმის გამო სასაფლაოზე მუდამ დავიდარაბა ხდება. მეზობელი სომხობა, როცა იქ ესწრობა, დიდ თანაგრძნობას გვიწევს: იმათში ვანქის სასაფლაოზე ყმაწვილზე 50 კაპ., ლარიბთვისის მუქთი—დიდზე მანეთია. თალიანი საფლავი მხოლოდ ნ მანეთია, თუმც ათი და ოცი თუმნიანებიც აქვთ. ამასთან ამათ იციან, რომ სასაფლაოს ფული საკეთილო საქმეზე მიდის, ჩვენ კი სულ სხვა ვხედავთ—თვით წევრნი კომიტეტიანი არა ჰმალამენ თავიანთ ყალთაბანდობას. პეტრე-პავლეს ეკლესიას 200 კომლამდე ქართველი მრევლი ჰყავს კომიტეტის წევრებში, ნუთუ ერთი ქართველი მაინც არ უნდა ერიოს? წელს ერთი-ორად გაადიდეს დამარხვის ფასი, მერმის უფრო ასწევენ—ეს საქმე დღეს ყველას გვაწუხებს და იმიტომ უნდა ქალაქის თვითმმართველობას ვთხოვოთ: დაგვეხმაროს ამ საქმეში. ანგარიში გაუწიოს ამოდენა ანაღებ ფულს და ამასთან, თუ კომიტეტია საჭირო, შიგ ქართველობაც ჩაურიოს. ქართველობა სომხებისამებრ განიძარცვავს კეთილსა და აქაც და ისე აღარ დავტყვევდებით, ისეც გაჭირებული ქართველობა.

ასნელი.

ᲮᲛᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ

თელავში არსებული სასწავლებლები თითებზე ჩამოითვლება: სამოქალაქო, სასულიერო, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი, სომეხთა და პირველ-დაწყებითი სამინისტრო ქალთა სკოლები. კიდევ არსებობდა ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც წელს ერთ კლასიანად გადაკეთდა. ამნაირად თითქოს სასწავლებელთა რიცხვი მომატების მაგივრად კლებულობს.

თუ მხედველობაში მივიღებთ თელავის 18 ათას მცხოვრებს და მიუმატებთ მოსაზღვრე სამი სოფლის მცხოვრებთ და მაზრიდან შემოხაზნულთ, ეს სასწავლებლები წვეთად უნდა ჩაითვალოს ზღვაში. მართლაც და ეს სასწავლებლები სრულიად ვერ აკმაყოფილებენ სწავლის მოთხოვნილებას. ყოველ წელიწადს (დამდეგ სამოსწავლო წელს უფრო შეეტყო) აუარებელი მოსწავლე რჩება სკოლის გარეშე და არც ერთ სასწავლებელს ფიქრადაც არ მოსვლია პარალელური კლასების გახსნა და მშობლებიც უტყვად ურიგდებიან თავიანთ შვილების მწარე ხვედრს.

მართალია ეს ვერ ითქმის სამინისტრო პირველდაწყებით სასწავლებელზე, სადაც როგორც შარშან, ისე წელს მოემატა პარალელური განყოფილებანი, მაგრამ აქაც მსწრაფლ შეავსო მოსწავლეთა კომპლექტი, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ფასი ათი მანეთია წელიწადში.

ფასიანი სასწავლებლებიც ვერ აკმაყოფილებენ სწავლის მსურველთა მოთხოვნილებას და რამდენი ბავშვი რჩება სკოლის კედლებ გარედ—უვიცობის წყვდიადში შეუძლებლობის გამო და როგორ საჭიროა უფასო ან ძლიერ ნაკლებ ფასიანი სკოლა ასეთ შეუძლო პირთათვის, ეს დღესავით ნათელია.

ვინ უნდა ითავოს ასეთ სასწავლებლის გახსნა? რასაკვირველია ქალაქის გამგეობამ, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამაზე ზრუნვა.

ქალაქის თვითმმართველობა აქამდე თავის 15000 მან. ბიუჯეტიდან სწავლა-განათლებაზე, მხოლოდ 300 მან. ჰხარჯავდა, წელს-კი დიდი ამბით და რიხით ვაჟთა პროგიმნაზია გახსნეს და კარგა ფულიც დაუჯდება მისი შენახვა, რომლის ბიუჯეტი თანდათან გაიზრდება და ქალაქიც ვალდებულია დაკმაყოფილოს იგი. რასაკვირველია სასწავლებელზე, როგორი ტიპისაც უნდა იყოს ის, არაფერი გვეთქმის, მაგრამ ამ პროგიმნაზიით შეძლებულ პირთ უნდა ისარგებლონ და ამნაირად ქალაქი ისევ ამათ უწევს დახმარებას. მცხოვრებთა უმრავლესობაზე-კი, რომელსაც ოჯახ-ოჯახობა წრე შეადგენს, ყურადღებას არავინ აქცევს და გროშსაც არა ჰხარჯავენ.

დიდი ხანია ქალაქის გამგეობაში მოსულია საყოველთაო სწავლის განსახორციელებლათ პროექტები, მაგრამ დარწმუნებული ვარ ქალაქის მესვეურთ არც-კი წაუკითხავთ. დროა, ეხლა მაინც ითავოს ქალაქმა ერთი პირველ დაწყებითი სკოლის გახსნა ასეთ შეუძლებელ პირთათვის, მით უმეტეს რომ ამას არც ისეთი დიდი თანხა მოუნდება და შემდეგ მთავრობაც გაუწევს დახმარებას, ვინაიდამ ეს იქნება საყოველთაო სწავლის შემოღების პირველი საფეხური.

ამ თვის პირველ რიცხვებში აქაურმა საზოგადოებამ გააცილა ერთი მოამაგეთაგანი მასწავლებელი, ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი ვასილ ზაქარიას ძე ბარნოვი, რომელიც გადაყვანილ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის მასწავლებლად.

ბატონი ბარნოვი ანუ ბასილა (ასე ეძახდნენ სასწავლებელში, ალბად ალერსით), 25 წელზე მეტია მასწავლებლად იმყოფებოდა თელავის სასულიერო სასწავლებელში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი თაობა აღზრდილა მისს ხელში და, დარწმუნებული ვარ, ამ მრავალ მოსწავლეთაგან არც ერთი არ იყო მისით უკმაყოფილო, როგორც მეცადინეობაში, ისე საერთოდ სკოლის ცხოვრებაში. ასე იყო წინედ და ეხლაც, რასაც მოწმობს მოსწავლეთა თვალ-ცრემლიანი გამოთხოვება.

ბ-ნი ბარნოვი, როგორც კარგი მცოდნე ქართული ისტორიისა და ლიტერატურისა მიწვეული იყო ქართულ ენის მასწავლებლად წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში, სადაც დედა ენა გააფურჩქნა და ააღორძინა ჩვენ მომავალ დედათა გულში.

ბ-ნ ბარნოვის გადაყვანით თელავს მოაკლდა ერთი საუკეთესო ძასწავლებელი და დაუღალავი მუშაკი პედაგოგიურ ასპარეზზე.

რასაკვირველია, როგორც მიღებულია თელავში ვ. ბარნოვიც ჩვენებურად, ძველებურად სადილებით გაცილეს, თუმცა შესაძლებელი იყო ამის ნაცვლად სხვაფრივ მისი პატივისცემა, მაგრამ იქნებ ეს დროს უქონლობითაც აიხსნება, რადგანაც მისი წასვლა მწრაფად მოხდა.

დ. ᲕᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ.

რალაცას სწერდა; ერთხელ უცებ გამოიღვიძა და ექიმს ნიკიტინს სთხოვდა წაეკითხნა მისთვის, რაც მან ეხლა დასწერა. ექიმ ნიკიტინს, რასაკვირველია, ეს არ შეეძლო, რადგან ტოლსტოის ამ წუთში არაფერი დაუწერია, ტოლსტოი წამოჯდა ლოგინში და ჯავრობდა ნიკიტინზე. რატომ ის არ მიკითხავო. რადგან იგი არა მშვიდდებოდა, ჩერტკოვი გაიღვიძეს. ჩერტკოვმა უბის წიგნი ამოიღო და წაიკითხა, რაც მას წინად, როდისმე, უთქვამს... ამან სრულიად დაამშვიდა ავადმყოფი და მან ალერსიანად უთხრა ჩერტკოვს: „აი, შენ რა კეთილი კაცი ხარ“-ო.

ანდერძის შესახებ. რამდენჯერმე გაიმეორა თავისი ორი სურვილი: 1) მისი ყველა თხუზულებები გამოიცეს საზღვარგარედ, ცენზურის შეუკრეკავად და 2) იასნაია პოლიანა გამოისყიდონ და მიწა გლეხებს მუქთად დაურიგდეს.

საქმე ისაა, რომ სოფიო ანდრიას ასულმა შენიშნა, რომ ადრე, თუ გვიან ტოლსტოი მთელ თავის შეძლებას საზოგადო საკუთრებად გამოაცხადებდა და ტოლსტოის ჩუქების ბარათი (дарственная запись), რომლის ძალითაც იასნაია პოლიანა და მისი თხზულებები 1882 წლ. საკუთრებად ეძლევა გრაფინას, სოფიო ანდრიას ასულს.

ეხლა უკვე ვიცით, რომ ალექსანდრა ლევის ასულს აქვს განსაკუთრებული უფლება გამოსცეს თხზულებები ტოლსტოისა, პირველ გამოცემის შემოსავალით უნდა გამოისყიდოს იასნაია პოლიანა და დაურიგდეს გლეხებს, შემდეგ კი ყველა მისი ნაწერები 82 წლიდან გამოცხადებული საზოგადო საკუთრებად გახდება.

ჩერტკოვმა რომ გაათავა ლაპარაკი, წინ წამოდგა ერთი მოხუცი, ისიც ტოლსტოის მეგობარია.—სტრახოვი და განაგრძო ის, რაც ჩერტკოვმა ზოგიერთ მოსაზრებით არა სთქვა:

—ჩერტკოვს ემდურებიან ვითომც მისი რჩევით წავიდა ტოლსტოი იასნაია პოლიანიდან. ეს სრულიად უსაფუძვლოა. დანამდვილებით შეიძლება ვსთქვათ, რომ ტოლსტოის წასვლა სახლიდან ჩერტკოვის სურვილის წინააღმდეგ იყო. ისიც ნამდვილი არ არის, ვითომც ჩერტკოვის ბრალია, რომ ტოლსტოი მართლ-მადიდებელ ეკლესიას არ შეურიგდა.

მუსაიფი გათავდა, მაგრამ ჩვენ იატაკზე დაფენილ თივაზე ჯდომას განვაგრძობდით, რადგან იმდენი სკამები არ მოიტოვებოდა, რომ ყველანი დავმსხდარიყავით. ჩვენ არ არ გვინდოდა მოვშორებოდით ამ გრძნეულ კუთხეს.

ნაშუადღევის 4 საათზე ვამოვეთხოვეთ ჩერტკოვს, მადლობა გადაუხადეთ და იასნაია პოლიანაში გავეშურეთ ლევ ტოლსტოის საფლავისაკენ. იქ დაგვხვდნენ ტოლსტოის ახლო მეგობარნი: მწერალი ვ. გ. კოროლენკო, რომელიც ის იყო მაშინ მოვიდა ქ. პოლტავიდან, ა. სტრახოვი, ტოლსტოის წიგნების გამომცემელი გორბუნოვ-პოსადოვი, ცნობილი ემიგრან. და ტოლსტოის ბიოგრაფი ბირიუკოვი, კ. ი. ჩუკოვსკი და სხვ., რომელთა თანადასწრებით გადავიხადეთ სამოქალაქო პანაშვიდი. *)

ა. სტრახოვმა გვიამბო ტოლსტოის უკანასკნელი ღამე სახლში და მისი გამგზავრება იასნაია პოლიანიდან:

*) საყურადღებოა, როგორც დამარხვაზე, ისე ეწესებ აქ, საფლავზე, ჩერტკოვი არ იყო.

შუა ღამისას, როდესაც ტოლსტოი თავის საწოლ ოთახში იწვა, მან შეამჩნია სინათლე გვერდით ოთახში—კაბინეთში. მალე მიჰხვდა, რომ ვიღაცა მის ქალალდებში ფათურობს. ამან მეტად აღელვა ტოლსტოი, რადგან კვლავაც შეეშინა, რომ ვიღაცა მისს ნაწერებს ურევს და სჩხრეკავს. აღელვებულმა ტოლსტოიმ წარმოსთქვა: „ახ, კიდევ ფათურობენ ჩემს ქალალდებში“-ო და ისევ მიწვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისს ოთახში შევიდა გრაფინია და ჰკითხა: „ლევოუშკა (ასე ეძახდა სოფიო ანდრიას ასული ლ. ტოლსტოის) ჯერ კიდევ არ დაგიძინია“. ტოლსტოიმ არაფერი არ უპასუხა.

გავიდა რამდენიმე საათი, როდესაც ტოლსტოი დარწმუნდა, რომ სახლში უკვე ყველანი სძინავს, ადგა, ჩაიცვა და უბარგოთ უარაოდ აპირებდა პირდაპირ სადგურ შჩეკინოზე წასვლას. საშინელი ბნელი ღამე იყო 28 ოქტომბერს. სახლს, რომ გასცილდა, ჩირგვს წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. წამოდგა, თითქოს არაფერი სტკენოდეს, მხოლოდ ქუდი მოვარდნოდა და ბნელაში ვეღარ ეპოვნა. ძალა-უნებურად დაბრუნდა სახლში, რომ რაიმე სანათი წამოეღო. მაგრამ ეტყობა, მეტად აღელვებული იყო, რომ სახლის გზა დაჰკარგა და დიდხანს გზა ვერ გაიგნო, იმ სახლისა, სადაც მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა, საიდანაც მან კაცობრიობას ამდენი უკვდავი თხზულება მისცა.

დაბრუნდა სახლში, გაიღვიძა თავისი ერთგული თანაშემწე—თანამოაზრე უმცროსი ქალი—ალექსანდრა,—გაუზიარა მას თავისი წადილი და სთხოვა მიეცა რაიმე სანათი, რომ დაკარგული ქუდი შოეძებნა. ალექსანდრა ლევის ასულისთვის ეს სურვილი მოულოდნელი არ იყო, მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ეს ასე მოხდებოდა. ამიტომ წინაღმდეგი არაფერი არ უთხრა, მხოლოდ სთხოვა თან მაკოვეკი წაეყვანა და თან საჭირო ნივთები წაეღო. ტოლსტოი დასთანხმდა და დაჰპირდა, რომ გზიდან შეატყობინებს საით წავა და მაშინ შეეძლება ალექსანდრა ლევის ასულსაც მასთან მისვლა. როდესაც ალექსანდრა ლევის ასული ბარგს ულაგებდა, სთხოვა,—თან წაეღო ელექტრონის ჯიბის ლიფლიფა და აგრედვე ახალი გამოგონილი კალამი, რომელიც მას ჩერტკოვმა აჩუქა, მაგრამ ტოლსტოიმ ყველა ამათზე უარი სთქვა. წაიღო მხოლოდ უსაჭიროესი ნივთები.

მაკოვიეკი გაადვიძეს, შეაკაზინეს ცხენები და გაუდგნენ ორიენტი შჩეკინოს სადგურს.

ოჯახის სხვა წევრებმა დილით გაიგეს ყველა ის, რაც იმ ღამეს მოხდა. როდესაც სოფიო ანდრიას ასული დილით ადგა, მას უამბეს ეს და მასთან მოძღვნილი მოკლე ბარათი მისცეს, რომელშიაც იგი ემშვიდობებოდა მეუღლეს და ოჯახს. მან გონება დაჰკარგა, ტირილით გამოვარდა გარედ და სახლის წინ ოგაგუბებულ დიდ გუბეში გადავარდა, მაგრამ თან გამოჰყვა უმცროსი ქალი, ალექსანდრა და მსახური და სიკვდილს გადაარჩინეს. სოფიო ანდრიას ასულმა კიდევ რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა, მაგრამ მახლობელნი მუდამ გარს ეხვევნენ.

სტრახოვმა ლაპარაკი გაათავა. ზოგიერთა სტუდენტებმა ვ. გ. კოროლენკოს სთხოვეს, სიტყვა წარმოსთქვიო.

მან აღელვებით გვიპასუხა: „რა უნდა ვსთქვა ეხლა, ამ ალაგზედ, სადაც თვით საფლავი ასე ბევრს გვეუბნევა, დაეხდეთ მას“.

გულ-დაწყვეტილნი გამოვემშვიდობეთ ტოლსტოის საფლავს და ბირიუკოვის დახმარებით დავათვალიერეთ ტოლსტოის სახლი. უბრალო, ქვიტკირის ორსართულიანი სახლი მშვენიერ ჭალაშია წამოდგმული. სახლს ელექტრონული განათება არა აქვს. თვით ლ. ტოლსტოის ზემო სართულში ეჭირა ორი ოთახი: სამუშაო და საწოლი ოთახი. ორთავეში უბრალო ავეჯეულობაა, უსაჭიროესი საგნები. სამუშაო ოთახი პატარაა და ნათელი. კედლებზე რამდენიმე სურათი ჰკიდია ოჯახის წევრებისა და ზოგიერთი გამოჩენილ მწერლებისა. კედელთანა სოფას სრულიად უბრალო და პატარა საწერი მაგიდა, რომელზედაც ძევს რამდენიმე წიგნი და რვეულები წარწერით: „დასასვენებელი“, „საპასუხო“ და სხ. ერთ კუთხეში უბრალო დიდი ჩალის სკამი სდგას, იქვე სდგას პატარა რგვალი მაგიდა. ამ კუთხეში ძალიან უყვარდა ტოლსტოის ჯდომა და წიგნების კითხვა. ეხლაც არის გაშლილი წიგნი ვ. კოროლენკოსი ამ მაგიდაზე ხელუხლებლად. ტოლსტოი წასვლის წინადამეს თურმე ამ წიგნს კითხულობდა.

ამ ოთახის გვერდით არის მისი საწოლი ოთახი. უბრალო სარეცელი, იქვე პატარა რგვალი მაგიდა, ორი უბრალო სკამი, კომოდი, პირის საბანი ტაშტი და ჩაფი წყლით—ესაა სრული მორთულობა ტოლსტოის საწოლ ოთახისა.

ვინც როდისმე ყოფილა იასნაია პოლიანაში, იგი ვერ იტყვის, რომ ტოლსტოის ფუფუნება და განცხრომაში უცხოვრია, როგორც მას ნებას აძლევდა მისი შეძლება.

როდესაც მოვდიოდით, გამოგვეგება ალექსანდრა ლევის ასული. მაღალი სრული ტანისა, შეკრეჭილი თმით, მეტყველის სახით, იგი ახდენს შთაბეჭდილებას მეტად გულ-კეთილ ადამიანისას.

უკვე დაგვიღამდა და ჩვენც გამოვეშურეთ ს. ზასეკასკენ. გზაში გლეხები შეგვხვდნენ. ყველა მათგანს უნდოდა ლ. ტოლსტოიზე ლაპარაკი. უმრავლესობა მათგანი არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, რომ ტოლსტოი დამარხეს არა საეკლესიო წესით, უფრო მოხუცნი კი თითქოს გულნატკენი არიან იმით, რომ დამარხვაზე საჭვდელოება არ დასწრო.

გლეხები ძალიან სწუხან ტოლსტოის სიკვდილს და მთელი დღე მის მოგონებაზე და ათასგვარ ლეგენდაზე ლაპარაკობენ. მათ შორის ხმა გავრცელდა, რომ ღამე ტოლსტოი მოდის ხოლმე იმ ადგილზე, სადაც იგი დამარხულია და ვიღასაც ელაპარაკებაო. ბევრს მათგანს არ სჯერა, რომ ტოლსტოი მკვდარია ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, რომ 82 წლის მოხუცმა თავი დაანება იმ სახლს, სადაც მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა.

ნ. ყაფშიძე.

მოწერილი ამბები

სოფ. კულაში. (ქუთაისის მაზრა) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო ადგილობრივ მცხოვრების დაუღალავობამ და ქიშპობამ დასაფუძნა. თვით მცხოვან მკოსნის იდეა ჯაჭვაძის ფონდის გასაძღიერებლად არ შეერებინა იმდენი ფული, რამდენიც კულაშის სამკითხველოს სახელზე შეიკრიბა. ჯერ მარტო ბაქოდან, თუ არ ვცდები ტაკიუნიდან, ფოთიდან 250 მანეთი; ზაითურიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, კავკასიის თითქმის ყველა ადგილებიდან, თვით მანჯურიიდან და ბეტერბურგიდან გამოგზავნეს ფული, მაგრამ ქიშპობას რა არ შეუძლიან?! სამკითხველოსთვის აგებული შენობა 12 თუმნად გაიყიდა... ამ ფულმაც დიდხანს ვერ განძლო! წარმოდგენაზე, ან სადმოზე თუ რამ შამოსულა ეს რა გასაცხადებელია! 113 მანეთი, 23 მ., 45 მ., ხუთ თუმნობით და ექვს თუმნობით შეეწმა კერძო პირებისაგან სამკითხველოს ფული. დღეს საზიგრებია აღძრული. ოთხი თვე სრულდება, რაც სამკითხველოს კარები არ გაღებულა. **ვარლამ იმერელი.**

—

დ. ახალსენაკი. კვირას 5 დეკემბერს, ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრეს აქ უნდა გაეშართა წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, მაგრამ რაკი ადგილობრივი ძალის სიმცირის გამო წარმოდგენის მოწყობა შეუძლებელი იყო მიმართეს დასახმარებლად. სამტრედიაში მყოფს სიდოვან სულაკვიძეს, რომელიც ცნობილი იყო. როგორც თავადებული მუშა სახალხო საქმისათვის. სიდოვანი ჩამოვიდა აქ და სადამის, რომ სასტუმრო „ფრანციდანი“ სცენის მოსაწყობად მიდიოდა, გზაში ვიდაც ვერაგმა დახლა რევოლვერი და სასიკვდილოდ დაჭრა, რის გამოც წარმოდგენა არ შესდგა. სასიკვდილოდ დაჭრილი სიდოვანი სულაქვეიძე ადგილობრივი ექიმის მირეული დახმარების შემდეგ წაიყვანეს დ. სამტრედიაში, სადაც 6 დეკემბერს გარდაიცვალა. №2

—

სურები. (გურია) როგორც ვიცით, სურების და ერკვეის საზღვარზე ამას წინათ მოგვლეს ამადლების მთავრობის მამასახლისი კვკვლიძე. ამის გამო მკვლელობის ადგილს მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი, რომელმაც ხალხს 3 ათასი მანეთით დაჯარიმება და მთავრობის მამასახლისის დანიშვნით დეიმუქრა. გუბერნატორმა, სხვათა შორის მიზეზად ის დასახელა რომ ამადლებს, საიდანაც მისი აზრით მკვლელები არიან, სურელები პასუხს არა სთხოვენო. ხალხმა კინუტხა: ჩვენ არავის არ გვკლავთ, ვინაიდან ამის არც დრო და არც სურვილი გვაქვს. უნდა მოგიქცეთ, რომ მშვიდობიანი მცხოვრები რა პასუხი უნდა მოგვთხოვოთ ამადლებს, როცა არ ვიცით მათი დანაშაულობა. გუბერნატორმა კინუტხა, რომ თუმცა ხალხი ებრალება, მაგრამ რაცა სთქვა, მაინც შასრულებს. ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა. გუბერნატორმა დაპირება სისრულეში მოიყვანეს და 30 ნოემბერს გვაწვნა მთავრობის მამასახლისი, 5 ჩაფრით. სურები პატარა საზოგადოებაა. მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება 400-ე კომლს. ახლა დაუფონებლივ 4500 მანეთამდე უნდა გარდაიხადოს ჯარიმა და მამასახლისი—ჩაფრების ნახევარი წლის ჯამაგირი. ხალხმა მამასახლისის მოსვლამდე დეშუტაცია აირჩია უმაღლეს მთავრობასთან გასაგზავნათ, მაგრამ ეს გუბერატორები რადაც მიზეზის გამო, არ წასულან, ეხლა კი ამაზე დაპირავს ვინდა გაბედავს. ამ მოკლე ხანში მოკვლა კანცელარიის ხარჯები, რომელიც წელ წინასწელ წელთან შედარებით, გაორკეცებულია. ხუთასი მანეთი ჯარიმა და დრამის ფულები.

ეგეთა გაღასახადი ელვის სასწრაფოთ იკრიფეს: მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირის აკრეფის დროს „იბრალებენ“ ხალხს. **ვინმე.**

—

ს. გურჯანი. (კახეთი) ამ სოფლის მცხოვრები ბ. გიგა ზარდიაშვილი ერთი უპირველესი კაცთაგანია ს. გურჯანში. იგი მხნე მონაწილეობას იღებს საზოგადო-სახალხო საქმეში და დიდ მაკალითს აძლევს სოფლის ბნელს კაცობას.

ბ. ზარდიაშვილმა თავის უფროს შვილს სწავლა ტფილისის სასულიერო სემინარიაში დაამთავრებინა და თუმცა ხელმოკლე კაცია, მაგრამ მაინც პეტერბურგის უნივერსიტეტში უმაღლეს სწავლის დასამთავრებლად გაგზავნა და 2-რე ნაომბერს მამას დეპეშა მოუვიდა: პოლიციამ დამიჭირა, გამოაშვებინე, თორემ უნივერსიტეტიდან დამითხოვენო. სანქმე ასე ყოფილა: ამაგე ს. გურჯანში ამაგე გვარისა კაცი სცხოვრობსო; გიორგი ზარდიაშვილი, იმასაც შვილი ჰყავს, სტუდენტი სენია (დათა). ეს დათა წელს კენჭში იყო. მას დაეძებდა პოლიცია და აგრეთვე შინტაკისტობას აბრალებდა. სტუდენტის მამამ ბოქაულს დ. ფ. ეარაბაშვილს მიგმართა და გუბერნატორს. ბოქაულისა ბრძანებით იპოვნეს დათა ზარდიაშვილი და სიდნადის მაზრის უფროს გადასცეს.

სამოდლის შემდეგ ყანდარმთა ოფიცერმა მოახდინა გაჭოძიება, დიბარა პეტერბურგში დატუსაღებული სტუდენტის მამა, გიგა ზარდიაშვილი, ორი ფოტოგრაფიული სურათი უნვნა და კითხა, რომელია შენი შვილი! გიგა ზარდიაშვილმა თავისი ძე იცნო. ჟანდარმთ ოფიცერმა ამის შემდეგ ტელეგრამით პეტერბურგის ქალაქის უფროსს აცნობა და სტუდენტი დათა გიორგის ძე ზარდიაშვილი გაანთავისუფლეს.

ამაგე ს. გურჯანში, მცხოვრებლებმა ძმა აჯამაულოგებმა, ვინმ და იაგორამ, შეუბრალებლად სცემეს ადგილობრივ სოფლის კაცს ნიკოლოზ დალაქიშვილს. მიზეზი თურმე ის იყო, რომ დალაქიშვილს აჯამაულოგების დეკნიდან უხარჯია ნისიად და შემდეგ დანახარჯი კუსწორები. რადგანაც წინად ნისიად გახარჯვინებდა თხუთ ჯაჭვ წემ ქარხანაში უნდა გამოჭახადოო—უთქვამს აჯამაულოგს და ჯაჭით დატკირთულ ურემს წინ გადასდგამია დალაქიშვილს; და ჯაჭვ წაართვეს და თავის ქარხანაში მიიტანეს კიდეც...

ხეპრე.

თეატრი და ხელოვნება

ახალი პიესა „მსხვერპლი“, რომელიც „დროებაში“ იბეჭდებოდა სათანადო უწყებისაგან უკვე ნება დართულია და მზადდება კიდეცა დასადგმელად. პიესას რეჟისორობს ბ-ნი შალიკაშვილი. პიესა, როგორც მკითხველებმა უწყიან, მეტად საინტერესოა და შეეხება ეგრედ წოდებულ „განმათავისუფლებელ“ ეროს ქართლში. პიესაში მრავალი პირებია გამოყვანილი და ამიტომ ქართული დასის გარდა მონაწილეობას ღებულობენ სცენის მოყვარენი და სამოცაზე მეტი თანამშრომელნი. პიესისათვის საგანგებოდ დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი ნოვაკისაგან და იკერება ახალი ტანაცმელები. „მსხვერპლი“ დაწერილია ახალგაზდა მწერალის იოს. გედევანიშვილის მიერ,

უცხოეთი

ჩინეთის კონსტიტუცია.

1913 წელს ჩინეთში პარლამენტს მოიწვევენ. ამის გამო პრინცმა-რეგენტმა შემდეგი განკარგულება გამოსცა:

1911 წლის აგვისტოში კონსტიტუციის მანიფესტი გამოქვეყნება, რომელიც მთელს იმპერიაში ორის თვის განმავლობაში უნდა გავრცელდეს. კონსტიტუციის ტექსტის გარდა, მანიფესტში ადნიშნული იქმნება ორთავე პალატის წევრთა არჩევნების წესი-რიგი. საარჩევნო სიის შედგენა უნდა დასრულდეს მანიფესტის გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში. 1912 წლის იანვარში არჩევნები მოხდება, რომელიც გასტანს ორ თვეს. 1912 წ. ოქტომბერში არჩეული დეპუტატები შეკრებენ მიეფდენ, ხოლო გასხვავებულზე, 1913 წელს გაიხსნება საკანონმდებლო სხდომაში ორთავე პალატა.

კონსტიტუციის პროექტის შედგენა დავალებული აქვს პრინცებს: ტსაიტსუს და შუდუნს. კანონის შემდგენელთა კომისიაში შედის ათი უმაღლესი მოხელე, მათ რიცხვში: იუ-ჩა მეკი, რომელმაც გერმანია მოიარა იქაურ კონსტიტუციის შესასწავლად და ლიკი შუ, რომელიც ამავ მიზნით იაპონიაში იყო.

პროვინციები გამამეფოდილნი არიან ამით და თხოულობენ, კომისიაში ხალხის წარმომადგენელნიც დაინიშნონ: პრინცები და მოხელენი ისეთ რეაქციონურს კონსტიტუციის შემოიღებენ, რომ ადგომარეობა აწინდელზე უარესი გახდებაო.

პორტუგალიის ძველი მეფე.

პორტუგალიის შეფედ ნაშეოვს მანუელს კალუწეფეტა, ოქსფორდის უნივერსიტეტში შევიდეს.

რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის შედეგი საფრანგეთში.

9 დეკემბრიდან რკინის გზებზე ხელახლა დაიწყეს დოსხოვნილ მოსამსახურეთა მიდება. კაფიცულთა ეველა მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდეს. კანონიერ-ხუდი კანონპროექტები, რომლითაც რკინის გზის მოსამსახურეთა უფლებანი უნდა შეეკვეცოთ, კანონიერებები დარჩება. ამ რიგად კაფიცულთ სრული გამარჯვება ხვდათ წილად.

საარჩევნო რეფორმა იტალიაში.

იტალიის მთავრობამ ახალი საარჩევნო კანონი შეიმუშავა და ამ დღეებში დეპუტატთა პალატას წარუდგენს. პრესა დიდს ბრძოლას იწვენს, რადგან კანონპროექტის შინაარსი საიდუმლოდ ინახება. ხმები დადის, პროექტი დიდს უფლებებს ანიჭებს ამომრჩეველებსო. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ეეძლა იმ პირს აძლევს, ვინც ცოტად მაინც იცის წერა-კითხვა. კონსერვატორები დიდად აღელვებულნი არიან და ამ პროექტის განხორციელებასთან ერთად უეჭველი დამარცხება ელანდებათ. ყოველ შემთხვევაში პალატაში ამ პროექტის განხილვა დიდს ავარ ზაურს გამოიწვევს.

წერილი რედ. მიმართ

ღრმად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო ნება მიბოძეთ თქვენი „სახალხო გაზეთის“ საშუალებით უადრესი მადლობა გამოვუცხადო იმ კულტურულ საქმეზე გულ-შემატკივარ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და სოფ. მათხოჯის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ გადმომცეს:

პოლკოვნიკმა თავ. ფარსადან მიქელაძემ 3 მ. გამგემ „საცდელ მიდორისა“ გ. ჯაფარიძემ 3 მ. პოლპოლკოვნიკმა ლევან გრ. მაქელაძემ 1 მ. სამტრედიის წ. კ. ს. გამგობის ოავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ 1 მან.

ეს პატივცემულნი პირნი ჩატანილნი იქმნებიან. ს. მათხოჯის სამკითხველოსთვის შემომწირველთა სიაში, მათი წვლილი კი, 8 მანეთი, გადაეცემა აღნიშნულ სამკითხველოს გამგეს.

პატივისცემით **ვარლამ ძაძიგური.**

—

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! დ. ჯაგერის უფასო სამკითხველოს დამაარსებელი კომიტეტი გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ამ წერილს.

2 დეკემბერს მდგომარე წლისა უფასო სახალხო სამკითხველოს დამფუძნებელ საზოგადო კრებას მსჯელობა ჰქონდა კომიტეტის წევრთა არჩევის შესახებ, სამკითხველოსთვის ბინის შოვნისა, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და სხვ. კრებამ ერთხმად დაადგინა გამოეცხადოს მადლობა ბლაღ. მოდ. ი. მარგიანს, რომელმაც სამკითხველოსთვის სცენას უფასოდ დაუთმო ქვედა სართული სახლისა და—ძმებს: ვალერიან და ევსევ ახვლედიანებს, რომელებმაც უფასოდ დაუთმეს ერთსართულიანი სახლისა სამკითხველოს მოსაწყობათ ამა მდგომარე წელში; მერმედ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდანაც გამოირკვა, რომ მდგომარე წელში სამკითხველოს სასარგებლოდ შემოსული ჩვეულებრივის წევრებიდან 106 მ. 25 კ. საპატიო წევრებიდან: დიმიტრი თომასძის ავხლედიანიდგან, კნ. დესპინა გელოვანიდგან კნ. ანა დადეშქელიანიდგან, თავ. ოთარ დადეშქელიანიდგან და დესპინე ახვლედიანიდგან 45 მან., სხვა და სხვა შემოწირულება 24 მან. და წარმოდგენების დადგმიდგან 150 მან. 39 კ., სულ 325 მან. 64 კ. აქედგან დახარჯულა გაზეთებზე და ჟურნალებზე 64 მან. 28 კაპ., სამკითხველოს მოსაწყობად, გამგის ჯამაგირი, მოსამსახურისა და სხვა ხარჯები 135 მან. 35 კაპ. დარჩა 137 მ. 1 კაპ. აქედან გადადებულია მომავალ წლის გაზეთებისა და ჟურნალებისათვის გამოსაწერად 55 მან. სხვა და სხვა ხარჯებისათვის 20 მან. და ნაღდად დარჩენილა 52 მ. 1 კაპ.

შემდეგ მოხდა მომავალი 1911 წლისათვის კომიტეტის წევრების არჩევნები. აირჩიეს კომიტეტის თავმჯდომარედ ნ. ხარაძე, წევრებად: მღვ. ი. მარგიანი, რ. ს. ჟვალი, ტ. გ. ახველდიანი, ნ. კ. ქუთათელაძე, ნ. გ. მაკავარიანი. ა. ვ. მეადანაძე, ნ. კ. ბერიძე, ვ კ. გეფეანი; სარევიზიო კომისიის წევრებად: თ. რ. ლ. ჩიქოვანი, ი. პ. დევაძე, ნ. ლ. კუპრაშვილი და გ. ს ახვლედიანი. საპატიო წევრებად —წინედ არჩეულნი: პოლკოვნიკი ა. კ. ჩხენკელი ი. იასონ დ. გელოვანი და ტ. გ. ახვლედიან და ახლად არჩეულნი: ნ. ე. ქუთათელაძე რ. ი. ბერიძე და თ. რ. ლ. ჩიქოვანი.

სამკითხველოს კომიტეტის თამჯდომარე. **ნ. ხარაძე.**

—

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის ერთ უახლოესელ ნომერში.

მე იძულებული ვარ მივმართო პრესას და მისი საშუალებით გამოვიწოდო ბ. ბ. სამსონ კილაძე—ქუთაისის საოთავადაზნაურო ბანკში მოსამსახურე—საამბანაგო სამართალში. ყოველი კულტურული საშუალება აქამდი ჩემგან ნახმარი მისს მიმართ სრულიად ფუჭე გამოდგა მათ ვერ გააღვიძეს მასში იურიდიული სინდისი და პასუხისმგებლობის შეგრძნება. ეხლა უკანასკნელად წინადადებას ვაძლევ, რომ ერთი კვირის განმავლობაში გადაწყვეტილი პასუხი მომცეს ან კერძოთ, ან გაზეთის საშუალებით თანახმაა, თუ არა გამომყვეს სამართალში, რომლის წევრებათ მე ჩემი მხრივ ვასახელებ მ. ოკუჯავას და ექიმ პ. კიკალიშვილს.

სტუდ. **ბერგეი ქავთარაძე.**

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პოგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—11/² ს. შიგან. და საბავშვო.
ბ. გ. ავანასოვი: 11/—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ლ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამეურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

„ნაკადული“

(წელიწადი მეშვიდე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მოწერი მიიღებს

24 წიგნი მცირე 12 წიგნი მოზრ-
წლოვანთათვის დილითვიერ.

საჩუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვობა და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით «ნაკადულისათვის», ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ფასი ეურნალისა: წლიურად ოერდეგ გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარეგ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

წელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პრეზიდენტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურო ქრვასლაში).

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილ.**

მიიღება ხელის მოწერა ეურნალ

მოსავალი

წელიწადი მესამე

1911 წლისათვის ეურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ელირება წლიურად 3 მან. ჯრემია ამ წლისა დეკემბრის ნომერთან დარიგდება, მომავალ 1911 წლისათვის კი შემდეგ გამოცხადდება.

რედაქ.-გამომც. **ვ. ი. რცხილაძე.**
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція Мосавали“.

„ს ო რ ა პ ნ ი ს“ ამ ხ. გ ამ ო ც ე მ ა
გამოვიდა გასასყიდად

I

1911 წლის კეთილის კალენდარი

ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის მაჰმადიანთათვის და ებრაელებისათვის. კალენდარის უკანა გვერდზედ მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი სახოგადო მოღვაწეებისა. ფასი კალენდრისა 40 კ.

II

სახალხო კალენდარი 1911 .წ

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარში ჩართულია მრავალი ხორათები და ანარეხაქართველოსი. და ი 20 კ. კალენდრები იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში და კავკასიის რკინის გზის მკადებში.

ვინაც ჭსურს გასასყიდად გამოიწეროს, მან უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით:
Тифлисъ Т-ва „Сорапанъ“. (18—244—7)

მოლითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა

●●● გრანდ-კახეთია ●●●

შუა ბაზარი, სახლი 13.

ფასები: ბოთლი 20—50 კ., ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდ მიტანით. ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოო სამხარეულო ევროპიელს და კავკასიურ საკმელებისა.

(20—240—9) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა** და **ს. სამადაშვილი**

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოლევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ზიზილალა

ახალი (Зернистая).

პარტიისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და სურგიელები

მილეგულია ლვინის ორაგული (სიოლგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა ვირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. ბირ.

აგრეთვე მიეიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—58)

ერთად-ერთი საწყობი ფოთოლევის მრეწველობისა.

მთელს ქვეყანაზე უკანასკნელი ახალი მოკვლენა!

●● ჯიბის საწერავი მანქანა „TAURU“ ●●

დღევანდლამდე მსგავსი მოზერხებული რამ არ მიეიტანებოდა, რომ ჯიბით გეტარებინათ საწერი მანქანა, და გეხარგებინათ,სადაც გნებავდეთ: მატარებელში, ეკიპაჟზე და სხვ. მანქანა ისეთსავე სამსახურს გაგიწევთ, როგორც ეძვირფასესი საწერავი მანქანა და მეტსაც. მით ეამეტეს, რომ მისი ტარება ჯიბით შეიძლება ყველან და ყოველთვის. კითხვა იბადება:

რაგზარ უნდა სწერეს ამ მანქანამ?

ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ ტეზნიკის გაზვითარების წყალობით, მოსახერხებელი გახდა საწერავ ჯიბის მანქანის ისეთი გაუმჯობესება (უბის საათზე ციტა მოზრდილია), რომ მისს გარშემო დაბეჭდულია 100 არმინი ქაღალდი, სადაც ეეშმ მანქანაზე ბეჭდავენ ქაღალდის სიგანე. მის ზმარებისათვის განსაკუთრებული ციდნა არაა საჭირო; ყოველი ანბანის მეცოდნე პირველადვე მოახერხებს მისით წერას, მწყლოდ მეხაგერ ასოს დასაწერად ეეესაფერ ღიდს დაეწყება თითით,

სიტყვები ეკაფიოდ და ცხადად უფეცდამოთ იწერება.

დაგარწმუნებ ყველას, ვინც ეი ძიიღებს მანქანას „TAURU“-ს, სამუდამოდ მადლიერი დამრჩება. გთხოვთ, მანქანა სერიოზულ რამედ მიიჩნიოთ, ნამდვილად ხარგებლოდ და გამოსადეგ ნივთად და არა—ხარავმდ სათამაშოდ თუ მანქანა არ შოგეწონებათ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზელმეფერდად გამოიწერთ და ფულის დაბრუნებას კი არ მოითხოვთ. გთხოვთ ეკვეთის დროს აონიშნოთ, რომელს ენახე; გინდათ სწერეთ, რადგანაც ყველა ენებისათვისაა დამზადებული ფასი 7 მ. 50 კ., გაგზავნა და ბაჟი—60 კ. (ციმბირში—90 კაპ.) გეგზავნით ფას-დადებით და უბეოდ. ადრესი:

Парижъ PARIS № 7, Mr. Srumfeld. S. Rue Mirbel 2 bis.

დაგვეთა ყველა ენაზე შეიძლება. დაბეჭდილ წერილზე 10 კ ძარეაა საჭირო, და ა წერილზე—4 კ. (3—293—1)

Метиль, 93477.

● წიგნების იაფად გაყიდვა ●

სხვა და სხვა გარემოებისა და პირობების გამო, იძულებულ ვართ ქვემორე აწერილი წიგნები გავყიდოთ შემდეგ ფასებში

დაკაზმული წიგნები ოქროს ასოებით:

1. საქართველოს ეოგრაფია, გაბეჭდილი ბატონიშვილისა, ავტოტრის სურათით და საქართ. ქარტით 1 მ.
2. საქართველოს ისტორია, მოხე ჯანაშვილისა მესამე (ეკანასკნელი), გამოცემა საქართველოს ქარტით, 1 მ.
3 რუსეთელების ისტორია, 1 მ.
4. ძველი საქართველო, 1 მ. 50 კ.
5 ქართველ კათოლიკეთა ისტორია, თამარამვილისა, ავტ. სურათ. 1 მ. 50 კ.
6. ქილილა და დამანა, თემურაზ მეფისა, გამოც. თავ. ბ. ბურიელისა. 3 მ.
7. დიდი ვეფხვის ტყაოსანი, მრავალი სურათ. ფერ. წამ. დაბეჭ 1 მ. 50 კ.
8. ვეფხვის ტყაოსანი, მრავალი სურათებით, ჩვეულებრივ ქაღალდზე 40 კ.
9. ალ. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფ. ავტ. სურათით 3 მან. 50 კ.
10. ე. ნინოშვილის სრული თხზულება, ი. გოგებრთელის კრიტიკ. განხილვით, ბიოგრაფ. და ავტ. სურ. 1 მან. 50 კაპ.
11. ახის ფლის შემდეგ. რომანი 1 მ.
12. ამბები ინგლ. ისტ. 1 მ.
12. ბლეხი კაცი, თანამედ. რომანი, ჟურ. ცხოვ., თარგ. ი. პოლუმოდრდვინ. 1 მ.
14 სოფლაბრ, სამეურნეო და საჭიგიენო ნარკვევები, მრავ. სასარგ. ცნობა, 10 მ.
15. გასაოცარი ამბები, (700 ამბავია შიგ მოქცეული), 1 მ.
16. ნინო ოჩრ. ლექსები, ავტორ. სურათით, 80 კ.
17. სპარტაკი, რომანი რომაელებ. ცხოვ. ქრისტეს დაბადებამდის, 1 მ.
18. ძველ. და მეცნიერებისათვის წამებულნი, 1 მან.

19. დონ-კიხოტი, მრავალი სურ. 1 მან.
20. ლალატი, მრავალი სურათით, 1 მ.
21. სიყვარული, რომანი ლექსად, სურათებით, 1 მ.
22. ცხოვრება და სიყვარ., რომანი, 80 წ.
23. ბუნება და ცხოვრება, სურათ. 80 კ.
24. თავ. დავით ეგრისთავის ხრული თხზ. 1 მ. 60 კ.
25. მაძღრიმ ბოგრის 1-ლი ტომი 1 მ.
26. ავძ. ცაბ. მეორე ტომი 80 კ.
27. თავადის ქალი, მრომა და ფეფეენება, რომანი, 1 მან.
28. ბალმასობა 1 მ.
29. ცხოვრება მეფე გიორგისა, 1 მ.
30. ბანდეგილის ლექსები და მოთხრობები 50
31. ს. ფეხნის ნაწერები, 80 კ.
32. ბლეხ-კაც. ისტორია, 2 მ

დაუკაზმავი წიგნები:

33. დანიელ ბოლქაძე და მისი დრო, ფ. მაზარაძისა, 40 კ.
84. სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა, 15 კ.
35. ვაი ჭკუისაგან, გრიბოედოვისა ლექსად თარგმული, განდგილისა, 35 კ.
36. ანარქიზმი, ნ. ყორდანიისა, 25 კ.
37. ბრესსა, ნ. ყორდანიისა, 25 კაპ.
38. მწვანე სამეფო, ლუნკევიჩისა, 20 კ.
39. სამწუხ. შედეგი, ნინოშვილისა 30 კ.
40. დიდი მოურავი, ბოემა, 80 კ.

სხვა და სხვა მრავალი რუსული და ქართული წიგნები იყიდება ძალიერ იაფად, მ. ი. ნაბეკარ,—მეხამედ და მეოთხედ ფასებში.

(0—296—1) ადრესი: ტფილისი, ხერნოვის ქ. № 4, ქ. თავართქილაძე.

სტამბა „ს ი ნ ა თ ლ ე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ეროდიონ სონღულაშვილი.